საქართველოს საგარეო სამინისტროს მესამე კვარტალური ანგარიში (ივლისი- სექტემბერი 2015) საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული ვითარების შესახებ

სარჩევი

I.შესავალი 1

II.წამებისა და არასათანადო-მოპყრობისგან თავისუფლება 3

III. თვითნებური დაკავება 4

IV. გადაადგილების თავისუფლება 5

V. უფლება საკუთრებაზე 9

VI. მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება 10

VII. დასკვნები 12

VIII. მოწოდება საერთაშორისო თანამეგობრობისადმი 13

1. შესავალი

1.1ანგარიშის მიზანი და გამოყენებული მეთოდოლოგია

1. ეს გახლავთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მესამე კვარტალური ანგარიში, რომელიც მოიცავს 2015 წლის ივლის-სექტემბერს და მიზნად ისახავს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული სიტუაციის შეფასებას. პირველი კვარტალური ანგარიში მოიცავდა 2015 წლის იანვარ-მარტის პერიოდს, მეორე კი ეხება 2015 წლის აპრილ-ივნისს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო შემდგომშიც განაგრძობს მსგავსი კვარტალური ანგარიშების მომზადებას.

ეს ანგარიშები ემსახურება საერთაშორისო საზოგადოებისთვის, სახელმწიფოებისთვის, სამთავრობოთაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის რეგულარული და განახლებული ინფორმაციის მიწოდებას საქართველოს ოკუპირეულ რეგიონში ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ.

2. რაც შეეხება გამოყენებულ მეთოდოლიგიას, ეს საანგარიშო პროექტი აერთიანებს და აანალიზებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ არსებულ სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშირისო ღია წყაროებიდან მოპოვებულ ინფორმაციას. ფორმატის შეზღუდულობის გამო, ანგარიში არ ისახავს მიზნად საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ადამიანის უფლებათა დარღვევის ყველა შემთხვევის აღნუსხვას; ის მიზნად ისახავს მხოლოდ ყველაზე მეტად გახმაურებული დარღვევების შეგროვებას და მათთვის შეფასების მიცემას. გამოყენებული მეთოდოლოგია არ გულისხმობს არც ფაქტების დასადგენად გამიზნულ ვიზიტს საქართველოს ოკუპირებულ რეიოგნებში და არც იქ ინტერვიუების (გამოკითხვის) ჩატარებას. ამრიგად, გამოყენებული მეთოდოლოგია არ აძლევს ამ საანგარიშო კამპანიას იმის საშუალებას, რომ შეაგროვოს და მოიძიოს ახალი მონაცემები საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ.

საოკუპაციო ხელისუფლების პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებათა დარღვევის გამო

3. ამჟამად, საქართველოს ორი რეგიონი - აფხაზეთი,საქართველო და ცხინვალის რეგიონი ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. საქართველოს რეგიონების ოკუპაცია რუსეთის ფედერაციის მიერ აღიარებულია საერთაშორისო საზოგადოების მიერ. რუსეთის ფედერაცია, როგორც საოკუპაციო ხელისუფლება, ახორციელებს ქმედით კონტროლს აფხაზეთზე/საქრთველო და ცხინვალის რეგიონზე/საქართველო.
ეს ორი რეგიონი, რომელიც ჯერ ისევ უცხოური სამხედრო ოკუპანტის ხელშია, წარმოადგენს საფრთხის შემცველ „შავ ხვრელებს“ ადამიანის უფლებათა დარღვევის და დამრღვევთა პასუხისმგებლობის კუთხით. საოკუპაციო ხელისუფლება ახორციელებს გაძლიერებულ კონტროლს და ხელს უშლის უამრავი საერთაშორისო ორგანიზაციის ამ ტერიტორიაზე შესვლას ჰუმანიტარულის ჩათვლით.

მავთულხლართებისა და ბანერების/ნიშნულების მონტაჟი

4. აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან არსებული საოკუპაციო ზოლი (ასს), ადმინისტრაციული საზღვრის გაყოლებაზე გამოყოფს საქართველოს მისი ორი ოკუპირებული ტერიტორიისგან. 2013 წლის იანვრიდან რუსეთის საოკუპაციო ძალებმა გააძლიერეს მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური წინაღობების მონტაჟი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სასაზღვრო ხაზების გასწვრივ (პროცესი დაწყებულია 2009 წელს). ამჟამად, ხელოვნური ბარიერების მთელი სიგრძე ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზის გასწვრივ შეადგენს თითქმის 51 კილომეტრს. აფხაზეთის რეგიონში მავთულხლართის სიგრძე 12 კილომეტრია.

5. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში[1] 2015 წლის 10 ივლისს რუსეთის საოკუპაციო ძალებმა დაამონტაჟეს ბანერები ე.წ. „სახელმწიფო საზღვრების“ აღსანიშნად ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძოდ კი გორის რაიონის სოფელ წითელუბანის შემოგარენში და ახალგორის რაიონის სოფელ ორჭოსანის შემოგარენში თბილისი-გორი ცენტრალური გზატკეცილის გვერდით[2].

6. აღმოჩნდა, რომ: ევროპის საბჭოს მონიტორინგის მისიის მოხელეებმა შენიშნეს, რომ ახალი ნიშანი იქნა დაყენებული სოფელ ორჭოსანთან მდგარ წინა ნიშანზე 300 მეტრით უფრო სამხრეთით, მაშინ როდესაც მეორე გადატანილი იქნა წითელუბანთან ერთი კილომეტრით ახლოს[3]. ამის შედეგად, სოფელ ორჭოსანთან მიმდებარე ბაქო-სუფსის[4] ნავთობსადენის სეგმენტი გადავიდა რუსეთის საოკუპაციო ძალების კონტროლის ქვეშ. ეს ნიშნავს იმას,რომ რუსეთის ფედერაცია[5] აკონტროლებს ბრიტანეთის ფირმა BP-ის საკუთრებაში[6] მყოფი ნავთობსადენის 1.6 კილომეტრიან სეგმენტს. აგრეთვე აღინიშნა, რომ კიდევ ერთი ახალი რუსულ-ოსურ ენოვანი ნიშანი, რომელიც ამ ზონას სამხრეთ ოსეთის ტერიტორიად აცხადებს, საქართველოს დედაქალაქის შავი ზღვის პორტებთან და მეზობელ თურქეთთან დამაკავშირებელი აღმოსავლეთ-დასავლეთის გზატკეცილისგან მხოლოდ რამოდენიმე მეტრითაა დაშორებული. 2008 წლის ომის

---

[1] 2015 წლის ივლისი-სექტემბერი

[2] იხილე „ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება“, დათარიღებული 2015 წლის 14 ივნისით.

[3] ევროპის საბჭოს გაფრთხილება რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთის სასაზღვრო ზოლის მიტაცების თაობაზე BBC, 2015 წლის 16 ივლისი. საქართველო ადანაშაულებს რუსეთს სამხრეთ ოსეთში საერთაშორისო კანონის დარღვევაში. The Guardian, 2015 წლის 14 ივლისი. ხელიმისაწვდომიაhttp://www.theguardian.com/world/2015/jul/14/georgia-accuses-russia-of-violating-international-law-over-south-ossetia.

[4] უნდა აღინიშნოს, რომ ბაქო-სუფსის ნავთობსადენი ატარებს 145000 ბარელ ნავთობს დღეში აზერბაიჯანის კასპიის ნავთობსარეწიდან საქართველოს შავის ზღვის სუფსის ტერმინალამდე. მისი სტრატეგიული მნიშვნელოვანება ნათელი გახდა 2008 წლის ომამდე, როდესაც BP-ის მოუხდა ნავთობსადენის გზების შეცლა, რათა ის ევროპისთვის მიეწოდებინა, მას მერე, რაც საქართველოში გამავალი BTC ნავთობსადენი დაიხურა აფეთქების შემდეგ. საქართველო ადანაშაულებს რუსეთს სამხრეთ ოსეთში არსებული საერთაშორისო საზღვრის დარღვევაში. The Guardian, 2015 წლის 14 ივლისი. ხელმისაწვდომია: http://www.theguardian.com/world/2015/jul/14/georgia-accuses-russia-of-violating-international-law-over-south-ossetia.

[5] იხილე 2015 წლის 11 ივლისით დათარიღებული საქართველოს საგარეო სამინისტროს განცხადება

[6] ევროპის საბჭო დაჟინებით მოითხოვს რუსეთისგან შეაჩეროს საქართველოს „პროვოცირება“. EU Observer. 17 ივლისი 2015. ხელმისაწვდომია: https://euobserver.com/foreign/129686. აღსანიშნავია, რომ 2014 წელს, ნედლი ნავთობის 31 მილიონი ბარელი იქნა ტრასნპორტირებული დასავლეთის ბაზრებზე 830 კილომეტრიანი ნავთობსადენით. ევროპის საბჭო აქვეყნებდა გაფრთხილებას, რომ რუსეთმა მიიტაცა მიწები სეპარატისტული ძალების მიერ კონტროლირებად რეგიონში. ხელიმისაწვდომია: http://www.i24news.tv/en/news/international/78622-150716-eu-issues-warning-over-russian-land-grab-near-georgian-breakaway-region

განმავლობაში, რუსეთის ტანკები იყენებდნენ იგივე გზას, თბილისს რომ მიუახლოვდნენ და დედაქალისგან 20 კილომეტრში გაჩერდნენ. ამით აჩვენეს საქართველოს სისუსტე[7].

7. 2015 წლის 10 აგვისტოს რუსეთის საოკუპაციო ძალებმა დაამონტაჟეს ე.წ. „სახელმწიფო საზღვრის“ აღმინიშვნელი დამატებითი ბანერები ცხინვალის ოკუპირებული რეგიონის მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძოდ ქარელის რაიონის სოფლების თამარაშენისა და წერონისის შემოგარენში და ამით დატოვეს რამოდენიმე ადგილობრივი ფერმერის საკუთრებაში მყოფი მიწები ახალი მარკერების მიღმა.[8]

8. ხაზი უნდა გაესვას, იმ გარემოებას, რომ რუსეთის ფედერაციის ამ ქმედებებს რეაგირება უნდა მოყვეს საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან. საერთაშორისო საზოგადოებამ გამოხატა თავისი შეშფოთება იმ ფაქტით, რომ საოკუპაციო ტერიტორია გავრცობილია და აღნიშნა, რომ ეს ქმედებები უარყოფით ზეგავლენას ახდენს ადგილობრივ მოსახლეობაზე და ადამიანის უფლებების მდგომარეობაზე გადაადგილების თავისუფლების ჩათვლით. ქვემოთ ჩამოთვლილია მათი რეაქციის მაგალითები.

9. გაეროს გენერალურმა მდივანმა შემდეგი განცხადება გააკეთა: “გენერალური მდივანი მხედველობაში იღებს სამხრეთ ოსეთის მაკონტროლებელ ხაზთან მომხდარ ბოლო დროინდელ მოვლენებს. ის გამოხატავს თავის შეშფოთებას იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რომელმაც შეიძლება ნეგატიური ზეგავლენა იქონიოს ადგილობრივი მოსახლეობის გადაადგილების თავისუფლებაზე და ცხოვრების ხარისხზე[9]. ევროპის საბჭო აცხადებს: “ახალი დემარკაციული ბოძების დამონტაჟებამ საქართველოდან გამოყოფილი სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული ხაზის გასწვრივ დაძაბა ამ რაიონში არსებული ვითარება და ის ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ადგილობრივ მოსახლეობაზე, მათი ცხოვრების ხარისხზე, გადაადგილების თავისუფლებაზე.“[10] ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა განაცხადა: “ მე მივიღე განსაკუთრებით შემაშფოთებელი ინფორმაცია საქართველოდან გამოყოფილი სამხრეთ ოსეთის რეგიონის ადმინისტრაციული ხაზის ცალმხრივი ცვლილებების შესახებ და რუსეთის ძალების მიერ ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის (ასხ) მუდმივი ცვლილებების შესახებ... ადმინისტრაციული სასაზღვრე ხაზის ცვლილება ეწინააღმდეგება საერთაშორისო კანონს და მხოლოდ დაძაბულობის ესკალაციისკენ არის მიმართული. იმის მაგივრად, რომ საზღვრის ორივე მხარეს მყოფი ხალხი გაერთიანდეს, ეს ქმედება მათ ერთმანეთისგან აშორებს და მე ამას ვგმობ, ისევე როგორც მე ეს გავაკეთე იმის მერე, რაც ვეწვიე ადმინისტრაციულ სასაზღვრე ხაზს (ასხ) გასულ მაისს.“[11]

10. რუმინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს შემდეგს: “სამინისტრო... გამოთქვამს თავის შეშფოთებას საქართველოს ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთი ბოლო დროს მომხდარ მშენებლობებთან დაკავშირებით, რაც ე.წ „სასაზღვრე ნიშნების“ დაყენებასაც მოიცავს. ამგვარმა

---

[7] საქართველო ადანაშაულებს რუსეთს სამხრეთ ოსეთში კანონის დარღვევის გამო. The Guardian. 2015 წლის 14 ივლისი. ხელმისაწვდომია: http ://www.theguardian.com/world/2015/jul/14/georgia-accuses-russia-of-violating-international-law-over-south-ossetia

[8] იხილე 2015 წლის 11 აგვისტოთი დათარიღებული „საქართველოს საგარეო სამინისტროს მიერ გაკეთებული განცხადება.

[9] განცხადება, სამხრეთ ოსეთის/საქართველო კონტროლის ხაზის შესახებ, რომელიც სავარაუდოდ ეკუთვნის გენერალური მდივნის პრეს-მდივანს 2015 წლის 16 ივლისი.

[10] პრეს-მდივნის განცხადება საქართველოდან გმაოყოფილი სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული ხაზის ცვლილებებთან დაკავშირებით. 2015 წლის 15 ივლისი.

[11] “Anna Brasseur შეშფოთებულია საქართველოს ადმინისტრაციული ხაზის ცვლილელებით. 2015 წლის 16 ივლისი.

ქმედებებმა შეიძლება მოახდინოს სიტუაციის ესკალაცია, უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ადგილობრივ მოსახლეობაზე, შეზღუდოს მათი თავისუფლად გადაადგილების უფლება და მიგვიყვანოს პროვოკაციამდე."[12] ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს: "სასტიკად ვგმობთ ამგვარ უკანონო ქმედებებს, რაც დაბრკოლებებს უქმნის ადმინისტრაციული ხაზის ორივე მხარეს მყოფ მაცხოვრებლებს, უარყოფითად მოქმედებს კონფლიქტის მშვიდობიანად გადაწყვეტის საერთაშორისო ძალისხმევაზე და ზოგადად მთელი რეგიონის უსაფრთხოებაზე."[13] ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შემდეგი განცხადება გააკეთა: "საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოთქვამს შეშფოთებას 2015 წლის 10 ივნისს სამხრეთ ოსეთის გამოყოფილ ტერიტორიაზე დემარკაციული ბოძების გადაადგილების თაობაზე. ამგვარი ქმედებები პროვოკაციულია, მათ უარყოფითი ზეგავლენა აქვთ რეგიონის უსაფრთხოების მთელ სისტემაზე, ისინი იწვევენ უნდობლობის ზრდას და ამით რთულდება კონფლიქტის მოგვარება და მცირდება ამ არეალში მცხოვრები ადამიანების გადაადგილების თავისუფლება."[14] ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანახმად, „10 ივლისს ბანერების უკანონო დამონტაჟებამ უფრო შორს გადაიწია თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე თბილისი-გორის ცენტრალური გზატკეცილისა და ბაქო-სუფსის ნავთობსადენისკენ, რაც რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს სუვერენობის და ტერიტორიული მთლიანობის კიდევ ერთი სერიოზული დარღვევაა. ეს უკანონო აქტივობები არღვევს საერთაშორისო კანონს, ქმნის სერიოზულ წინაღობებს ადმინისტრაციული ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობისთვის, საზიანოა საერთაშორისო ძალისხმევისთვის მშვიდობიანად მოაგვაროს კონფლიქტი და უარყოფითი ზეგავლენა აქვს მთელი რეგიონის უსაფრთხოების სისტემაზე."[15]

II. წამებისა და შეურაცხყოფისგან თავისუფლება

11. 2008 წლის ომის განმავლობაში საქართველოს ოკუპირებული რეგიონებში წამებისა და ცუდად მოპყრობის უამრავი შემთხვევა აღირიცხა.[16]

12. წამებისა და არასათანადო მოპყრობისგან თავისუფლების საკითხში, რამდენიმე შემთხვევა აღინიშნა ანგარიშის პერიოდშიც[17]. მაგალითად, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევები ეყრდნობა ქართულ მედიაში და სხვა ღია წყაროებში არსებულ ინფორმაციას.

---

[12] რუმინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაკეთებული განცხადება, 2015 წლის 21 ივლისი.

[13] საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება, რომელიც გმობს სამხრეთ ოსეთის სეპარატისების მიერ ჩატარებულ დემაკრაციულ ქმედებებს. 2015 წლის 16 ივლისი.

[14] ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება, 2015 წლის 16 ივლისი.

[15] ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის თაობაზე. 2015 წლის 14 ივლისი. მაგალითად, იხილე „ ადამიანის უფლებები საქართველოში არსებული კოფლიქტის შემდეგომ ომით დაზარალებულ ტერიტორიაზე, OSCE/ODIHR,2008 წლის 27 ნოემბერი, გვ. 24-25,გვ. 36,გვ. 59, 74; „ აგვისტოს ნანგრევები", საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციის ანგარიში ადამიანის ფუნადემენტური უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონის დარღვევის თაობაზე, 2008 წლის აგვისტოს ომი, თბილისი 2009, გვ. 40;

[16] მაგალითად, იხილე „ ადამიანის უფლებები საქართველოში არსებული კოფლიქტის შემდეგომ ომით დაზარალებულ ტერიტორიაზე, OSCE/ODIHR,2008 წლის 27 ნოემბერი, გვ. 24-25,გვ. 36,გვ. 59, 74; „ აგვისტოს ნანგრევები", საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციის ანგარიში ადამიანის ფუნადემენტური უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონის დარღვევის თაობაზე, 2008 წლის აგვისტოს ომი, თბილისი 2009, გვ. 40;

[17] 2015 წლის ივლისი-სექტემბერი

13. 2015 წლის 10 აგვისტოს გალის რაიონის მკვიდრი დაკავეს რუსეთის ეფესბეს თანამშრომლებმა საზღვრის „უკანონო გადაკვეთისთვის“ გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის ტერიტორიაზე. დაკავებული სასტიკად ცემეს რუსეთის ეფესბეს თანამშრომლებმა.

14. 2015 წლის 27 აგვისტოს, რუსეთის საოკუპაციო ძალები შევიდნენ ოჩამჩირის რაიონის ერთ-ერთ სახლში მაცხოვრებელთა ნებართვის გარეშე. რუსეთის საოკუპაციო ძალებმა სახლის მეპატრონეების ნებართვის გარეშე გადაწიეს სარეზერვო მავთულხლართი. სამხედროები ფიზიკურად დაესხნენ თავს ოჯახის მამრობითი სქესის წევრებს, რის შედეგადაც მთელმა ოჯახმა დატოვა სახლი და გაიქცა.

15. 2015 წლის 19 სექტემბერს რუსეთის სამხედროები შევიდნენ გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში დაჯავშნილი მანქანებით და სოფლის რამოდენიმე სახლი დაარბიეს. მათ ოჯახებს წაართვეს რამოდენიმე კილომეტრზე გადაჭიმული თხილის ბუჩქებიდან აღებული მოსავალი და ზამთრისთვის დამზადებული სანოვაგე. დარბევის დროს მათ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს რამოდენიმე ადგილობრივ მაცხოვრებელს.[18]

III. თვითნებური დაკავება

16. რუსეთის ეფესბეს თანამშრომლები საოკუპაციო ხაზის[19] გაყოლებაზე რეგულარულად ახორციელებენ თვითნებურად მოსახლეობის დაკავებას. 2009 წლიდან და 2015 წლის მარტამდე 2 117 პირი იქნა დაკავებული რუსეთის ეფესბეს თანამშრომლების მიერ ე.წ.

---

[18] ამ მოხსენების 13, 14 და 15 პარაგრაფებისთვის იხილე საქართველოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ მომზადებული პრესის ყოველკვირეული მიმოხილვა ადამიანის უფლებათა დარღვევებზე და აფხაზეთში ამჟამად მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ივლისი-სექტემბერი 2015; *აფხაზეთის რკინიგზის აღდგენის ფონზე მომხდარი ინციდენტები - რუსი ოკუპანტები ფიზიკურად უსწორდებიან ადგილობრივ მოსახლეობას* . “newposts.ge”, 2015 წლის 27 აგვისტო. მიმოხილვაში მიცემულია საქართველოს 2013 წლის ანგარიში ადამიანის უფლებების საკითხებზე , აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, გვ. 15, ხელმისაწვდომია: http://www.state.gov/documents/organization/220492.pdf;“ადამიანის უფლებები საქართველოში კონფლიქტის შემდგომ ომით დაზარებულ რაიონებში“, OSCE/ODIHR, 2008 წლის 27 ნოემბერი, გვერდები 24-25, გვ. 25, გვ. 37-38, 74; „აგვისტოს ნანგრევები“, საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიში ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონის დარღვევებზე, აგვისტო ომი, 2008, თბილისი 2009, გვ.40; „ადამიანის უფლებები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში. განსაკუთრებული მისია საქართველოში და რუსეთის ფედერაციაში“, თომას ჰამარბერგი, ადამიანის უფლებათა ევროპის საბჭოს კომისარი (ვლადიკავკაზი, ცხინვალი, გორი, თბილისი და მოსკოვი, 22-29 აგვისტო 2008 წელი), პარაგრაფი 94; „ ფილეი იწონებს საქართველოს გეგმას განახორციელოს ადამიანის უფლებათა გაფართოებული რეფორმა, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ნეივი ფილეის შესავალი სიტყვა, პრეს-კონფერენციაზე თბილისში.“ საქართველო 2014 წლის 21 მაისი, ხელმისაწვდომია: http://www.ohchr.org/EN/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=14624#sthash.OkwTyUpY.dpuf

[19] მიმოხილვაში საქართველოს 2013 წლის ანგარიში ადამიანის უფლებების საკითხებზე , აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, გვ. 15, ხელმისაწვდომია: http://www.state.gov/documents/organization/220492.pdf;“ადამიანის უფლებები საქართველოში კონფლიქტის შემდგომ ომის დაზარებულ რაიონებში“, OSCE/ODIHR, 2008 წლის 27 ნოემბერი, გვერდები 24-25, გვ. 25, გვ. 37-38, 74; „აგვისტოს ნანგრევები“, საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების და საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონის დარღვევებზე, აგვისტო ომი, 2008, თბილისი 2009, გვ.40; „ადამიანის უფლებები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში. განსაკუთრებული მისია საქართველოში და რუსეთის ფედერაციაში“, თომას ჰამარბერგი, ადამიანის უფლებათა ევროპის საბჭოს კომისარი (ვლადიკავკაზი, ცხინვალი, გორი, თბილისი და მოსკოვი, 22-29 აგვისტო 2008 წელი), პარაგრაფი 94; „ ფილეი იწონებს საქართველოს გეგმას განახორციელოს ადამიანის უფლებათა გაფართოებული რეფორმა, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ნეივი ფილეის შესავალი სიტყვა, პრეს-კონფერენციაზე თბილისში.“ საქართველო 2014 წლის 21 მაისი, ხელმისაწვდომია: http://www.ohchr.org/EN/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=14624#sthash.OkwTyUpY.dpuf

„საზღვრის უკანონო გადაკვეთისვის“; 1416 პირი დაკავებული იქნა აფხაზეთის რეგიონის[20] საოკუპაციო ხაზის გაყოლებაზე და 701 - ცხინვალის რეგიონში[21].

17. საანგარიშო პერიოდში[22] მოწოდებული იქნა უამრავი შემთხვევა ოკუპირებულ რეგიონებში განხორციელებულ თვითნებურ დაკავებასთან დაკავშირებით. მაგალითად, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევები მოპოვებულია საქართველოს მედიიდან და სხვა წყაროებიდან.

18. 2015 წლის 1 ივლისს, გალის რაიონის 15 მაცხოვრებელი დააკავეს რუსეთის ეფესბეს თანამშრომლებმა ე.წ „ საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის.“

19. 2015 წლის 4 ივლისს, გალის რაიონის 15 მაცხოვრებელი დააკავეს რუსეთის თანამშრომლებმა ე.წ. „საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის“ გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის ტერიტორიაზე.

20. 2015 წლის 25 ივლისს რუსეთის ეფესბეს თანამშრომლებმა დააკავეს გორის რაიონის სოფელ ხურვალეთის მაცხოვრებელი ე.წ. „საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის“. ის დააკავეს მის კუთვნილ სამეურნეო მიწის ნაკვეთზე მოსავლის აღების დროს, ნაკვეთი ახლად დამონტაჟებული სანიშნე ბოძების მიღმა აღმოჩნდა.

21. 2015 წლის 13 აგვისტოს გორის რაიონის სოფელ კირბალის მაცხოვრებელი დააკავეს რუსეთის ეფესბეს თანამშრომლებმა ე.წ.“საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის“. ადგილობრივი მოსახლეობის თანახმად, დაკავებული საოკუპაციო ხაზის შორიახლოს ფიჩხს აგროვებდა.
22. 2015 წლის 24 აგვისტოს გორის რაიონის სოფელ ახრისის მაცხოვრებელი დააკავეს რუსეთის ეფესბეს თანამშრომლებმა ცხინვალის რაიონის სოფელ იკორთასთან; მას წარედგინა სისხლის სამართლის ბრალდება ე.წ. „საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის.“

23. 2015 წლის 25 აგვისტოს გორის რაიონის სოფელ ბერშუეთის ორი მაცხოვრებელი დააკავეს რუსეთის ეფესბეს თანამშრომლებმა ე.წ. „საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის“. ადგილობრივი მოსახლეობის თანახმად, ადგილობრივებს არ გადაუკვეთავთ საოკუპაციო ხაზი, ისინი მხოლოდ მიუახლოვდნენ მას.

24. 2015 წლის 29 აგვისტოს საჩხერის რაიონის სოფელ სპეტის მაცხოვრებელი დედა და ორი ბავშვი დააკავეს რუსეთის ეფესბეს თანამშრომლებმა ე.წ. „საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის“. სამივე გაათავისუფლეს 1 სექტემბერს 2 000 რუბლის ოდენობით ჯარიმის გადახდის შემდეგ.

25. 2015 წლის 9 სექტემბერ სენაკის რაიონის მაცხოვრებელი დააკავეს რუსეთის ეფესბეს თანამშრომლებმა ე.წ.“საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის“ და მას მიესაჯა პატიმრობა 2 ნახევარი წლის ვადით.

26. 2015 წლის 10 სექტემბერს თბილისის მაცხოვრებელი და გორის მაცხოვრებელი რუსეთის ეფესბეს თანამშრომლებმა დააკავეს ზნაურის რაიონის სოფელ ოქონში და წარუდგინეს სისხლის სამართლის ბრალდება ე.წ. “საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის.“

---

[20] რუსეთის მესაზღრეების ინფორმაციის თანახმად:“ბოლო 5 წლის განმავლობაში დაახლოებით 10 000 პირი იქნა დაკავებული აფხაზეთის რეგიონის საოკუპაციო ხაზთან ე.წ.“ საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის“. იხილე: http://www.apsnypress.info/news/pogranupravlenie-fsb-rossii-v-abkhazii-otmechaet-pyatuyu-godovshchinu-so-dnya-obrazovaniya

[21] „2009-2015 წლებში რუსეთის საოკუპაციო ჯარის სამხედროების მიერ დაკავებული მოქალაქეები“, 2015 წლის 18 მაისი. თავისუფალი ინფორმაციის განვითარების ინსტიტუტი.

[22] 2015 წლის ივლის-სექტემბერი

27. 2015 წლის 23 სექტემბერს ქალაქ გორის მაცხოვრებელი დააკავეს რუსეთის ეფესბეს თანამშრომლებმა ე.წ. „საზღვრის უკანონო გადაკვეთისას.“[23]

IV. გადაადგილების თავისუფლება

28. რუსეთის ეფსბეს თანამშრომლები რეგულარულად აკავებენ მაცხოვრებლებს ე.წ. „საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის“, იმ დროს როდესაც საოკუპაციო ხაზზე მოქმედი გამშვები პუნქტების გადაკვეთის ნება აქვთ მხოლოდ იმ ინდივიდებს, რომლებიც ფლობენ „დოკუმენტებს“,[24] რომელსაც აღიარებს საოკუპაციო ხელისუფლება და რომელთა ვალიდობაც დაფუძნებულია ბუნდოვან კრიტერიუმზე. მაგალითად აფხაზეთის საოკუპაციო ხაზზე მოქმედ ხუთ გამშვებ პუნქტში მხოლოდ კონკრეტული ტიპის „დოკუმენტები“[25] მიიღება აფხაზეთის რეგიონში შესასვლელად და იქიდან გამოსასვლელად. მისაღებ „დოკუმენტთა“ სია გამოქვეყნდა 2015 წლის 15 ივნისს რუსულ ენაზე[26] რუსეთის ეფესბეს კონტროლის სერვისის თანამშროლების მიერ. ისინი ვინც ვერ წარმოადგენენ სათანადო დოკუმენტებს, არასამუშაო საათებში ვერ გადაკვეთენ საზღვარს, რასაც ხშირად მივყავართ უბედურ შემთხვევებამდე გადაუდებელი სამედიცინო დამხმარების მაძიებელ ადგილობრივ მოსახლეობაში, ბავშვებისა და ქალების ჩათვლით.

29. საანგარიშო პერიოდში უამრავი დარღვევის შემთხვევა იქნა დაფიქსირებული გადაადგილების თავისუფლებასთან დაკავშირებით[27]. ევროპის საბჭოს აზრით, „ გალის რაიონის მაცხოვრებელთა უმეტესობის, აგრეთვე ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონების ნაწილის კანონიერი სტატუსი საკმაოდ შემაშფოთებელი რჩება... დოკუმენტაციის შეუსაბამობის გამო გრძელდება ადგილობრივი მოსახლეობის გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა, რაც იწვევს ძირითადი მომსახურების, დაცვისა და სოციალურ-ეკონომიკური პრივილეგიით სარგებლობის ხელმიუწვდომლობას. ამის გამო მოსახლეობა კიდევ უფრო მეტად მოწყვლადია და ადვილად აბუჩად ასაგდები[28].

ახალი ბანერების/სანიშნე ბოძების მონტაჟი

---

[23] ამ მოხსენების 18-27 პარაგრაფებისთვის იხილე საქართველოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ მომზადებული ადამიანის უფლებათა დარღვევებზე და აფხაზეთში ამჟამად მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით პრესის ყოველკვირეული მიმოხილვა, ივლისი-სექტემბერი 2015; *საგანგაშოა? რუსებმა გაიტაცეს 45 წლის მამაკაცი* “postalioni.com”, 25 ივლისი 2015; „რუსმა ოკუპანტებმა მამაკი გაიტაცეს “presa.ge”, 2015 წლის 13 აგვისტო; მესაზღვრეებმა ორი ადამიანი დააკავეს “interpressnews.ge”, 25 აგვისტო 2015; რუსი ოკუპანტების მიერ განხორციელებული დაკავება, “newposts.ge”, 23 September 2015.

[24] გაერთიანებული ანგარიში საქართველოს კონფლიქტის თაობაზე, ევროპის საბჭო (ნოემბერი 2014-მარტი 2015),22 აპრილი 2015, SG/Inf (2015) 18, პარაგრაფი 44.

[25] დასაშვების ზღვარი -ქართულ-აფხაზურ კონტექსტში არსებული კონფლიქტის სამომავლო პერსპექტივა: გალის რეგიონის მოსახლეობა, მორიგების რესურსები, 2015 წლის ივლისი, გვ.8. უნდა აღინიშნოს, რომ ე.წ.“აფხაზური პასპორტების“ გაცემა დაიწყება 2015 წლის შემოდგომაზე და ეს პროცესი დასრულდება 2016 წლის თებერვალში. 300 000 „ახალი დოკუმენტებიდან“ 250 000 იქნება შიდა მოხმარების „პასპორტი“, ხოლო 50 000 იქნება საცხოვრებელი მოწმობა.

[26] http://abkhazinform.com/item/1356-pogranuppravlenie-fsb-rf-v-abkhaziiinformiruet-grazhdan-o-dokumentakh-pozvolyayushchikhperesekat-gruzino-abkhazs

[27] იხილე, საქართველოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ მომზადებული პრესის ყოველკვირეული მიმოხილვა ადამიანის უფლებების დარღვევაზე და აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, ივლისი-სექტემბერი 2015.

[28] გაერთიანებული ანგარიში საქართველოში მომხდარი კონფლიქტის თაობზე, ევროპის საბჭო (2015 წლის აპრილი - 2015 წლის სექტემბერი SG/Inf (2015) 41, პარაგრაფები 47 და 51.

30. როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, 2015 წლის 10 ივლისს რუსეთის საოკუპაციო ძალებმა სოფლებთან - წითელუბანთან და ორჭოსანთან დაამონტაჟეს ბოძები წარწერით „ სახელმწიფო საზღვარი“. ამგვარი ბანერების დამონტაჟება, საყოველთაო აღიარებით, უარყოფით ზეგავლენას ახდენს ადგილობრივი მოსახლეობის გადაადგილების თავისუფლებაზე.

31. მაგალითად, ახალი ბანერების დაყენების კონტექსტში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა გამოთქვა „შეშფოთება იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც უარყოფით ზეგავლენას ახდენენ გადაადგილების თავისუფლებაზე და ადგილობრივი მოსახლეობის[29] საარსებო სახსრების მოძიებაზე. ევროპის საბჭოს მონიტორინგის მისიის სპიკერმა თქვა, რომ რუსეთის „სასაზღვრო“ პოლიტიკა უქმნის წინაღობას გადაადგილების თავისუფლებას და უზღუდავს ადგილობრივ მოსახლოებას[30] საარსებო სახსრების მოპოვების საშუალებას. ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ისინი იწვევენ უნდობლობას, აფერხებენ კონფლიქტის მოგვარების პროცესს და ზღუდავენ იქ მცხოვრები ადამიანების თავისუფლად გადაადგილების უფლებას. რუმინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ „ამგვარი ქმედებები ახდენს ადგილებზე სიტუაციის ესკალაციას, უარყოფითად აისახება ადგილობრივ მოსახლეობაზე, ზღუდავს მათი თავისუფლად გადაადგილების უფლებას[31] და იწვევს პროვოკაციებს.[32]

32. „გარდიანმა“ მოიყვანა წითელუბნელი ფერმერის გამონათქვამი: „ ჩვენ დავკარგეთ ჩვენი ყანების უმეტესობა... რუსები ამბობენ, რომ ჩვენ გვეკრძალება იქ შესვლა...“[33] აღინიშნა, რომ ამის გამო „ადგილობრივ ქართველ ფერმერებს ჩამოეჭრათ 10 ჰექტარის ოდენობის პურის ყანა და მსხვილფეხა საქონლის საძოვრები.“ ევროპის საბჭო ადასტურებს, რომ „ადგილობრივი მოსახლეობა თავს იკავებს საკუთარ მიწებზე და საძოვრებზე[34] შესვლისგან დაკავების შიშის გამო, რაც შეშფოთების საგანი რჩება. დაკავებულებს შორის, მართლაც, რომ არიან ფერმერები და მწყემსები, ვინც კვეთს საოკუპაციო ხაზს სასიცოცხლოდ აუცილებელი სახსრების შოვნის მიზნით“.[35]

თხილის მოსავლის აღებასთან დაკავშირებული დაკავება

---

[29] გენერალური მდივნის მიერ სავარაუდო განცხადება სამხრეთ ოსეთის/საქართველო კონტროლის ხაზის მშენებლობასთან დაკავშირებით, 16 ივლისი 2015.

[30] *საქართველო ადანაშაულებს რუსეთს სამხრეთ ოსეთში საერთაშორისო კანონის დარღვევაში.* The Guardian. ივლისი 14 2015. ხელმისაწვდომია: http://www.theguardian.com/world/2015/jul/14/georgia-accuses-russia-of-violating-international-law-over-south-ossetia

[31] ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება, 2015 წლის 16 ივლისი.

[32] რუმინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება, 2015 წლის 21 ივლისი.

[33] საქართველო ადანაშაულებს რუსეთს სამხრეთ ოსეთში საერთაშორისო კანონის დარღვევაში. The Guardian. ივლისი 14 2015. ხელმისაწვდომია: http://www.theguardian.com/world/2015/jul/14/georgia-accuses-russia-of-violating-international-law-over-south-ossetia.

[34] ევროპის საბჭო მოუწოდებს რუსეთს შეაჩეროს საქართველოსადმი მიმართული პროვოკაციები.“ EU Observer. 17 July 2015. ხელმისაწვდომია: https://euobserver.com/foreign/129686.

[35] გაერთიანებული ანგარიში საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შესახებ, ევროპის საბჭო (აპრილი 2015- სექტემბერი 2015), SG/Inf (2015) 41, პარაგრაფი 62.

33. ზაფხული საქართველოში თხილის მოსავლის აღების სეზონია. თხილი აფხაზეთის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის უმეტესობის შემოსავლის[36] მნიშნელოვან წყაროს წარმოადგენს, კერძოდ კი გალის რაიონის მოსახლეობისთვის. თხილის მოსავლის აღების პერიოდში საქართველოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები ზოგიერთი ადამიანი შეეცადა საოკუპაციო ხაზის გადაკვეთას თხილის მოსავლის აღებისას სახსრების მოპოვების მიზნით[37]. აფხაზეთის რეგიონის ბევრი მაცხოვრებელი შეეცადა გადაეკვეთა საოკუპაციო ხაზი იმისთვის, რომ გადაეზიდა და საბითუმო ფასებში გაეყიდა თხილის მოსავალი ზუგდიდში, ანუ ტერიტორიაზე რომელსაც აკონტროლებს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება და სადაც ფასი უფრო მაღალია, ვიდრე ოკუპირებული რეგიონების ადგილობრივ ბაზრებზე[38]. ქვემოთ მოტანილი შემთხვევები ეფუძნება ქართულ მედიასა და სხვა ღია წყაროებში გავრცელებულ ინფორმაციას.[39]

34. „2015 წლის 29 აგვისტოს, ხობის რაიონის სოფელ თორსას მაცხოვრებელი დააკავეს რუსეთის ეფესბეს თანამშრომლებმა ე.წ. „საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის“, იმ დროს როდესაც ის ბრუნდებოდა გალის რაიონის სოფელ მუხურიდან, სადაც ის თხილის მოსავლის ასაღებად იყო წასული. მისი ამჟამინდელი ადგილმდებარეობის შესახებ არაფერია ცნობილი.

35. 2015 წლის 21 სექტემბერს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მარტვილის (საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კოტროლირებადი ტერიტორია) მაცხოვრებელი დააკავეს გალის რაიონში და მიუსაჯეს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა ე.წ. „საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის.“ დაკავებული შევიდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმისთვის, რომ ემუშავა და ხელფასი მიეღო გალის რაიონში თხილის მოსავლის აღების სეზონზე. დაკავებულს ემუქრება 3 ან 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

36. 2015 წლის 30 სექტემბერს გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის მაცხოვრებელი დააკავეს რუსეთის ეფესბეს თანამშრომლებმა მაშინ, როდესაც მას საოკუპაციო ხაზზე თხილით დატვირთული ტომრები გადაჰქონდა საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

---

[36] იხილე საქართველოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ მომზადებული პრესის ყოველკვირეული მიმოხილვა (10 აგვისტოდან 14 აგისტომდე პერიოდში) ადამიანის უფლებების დარღვევასა და აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ივლისი-სექტემბერი, 2015 წელი.

[37] იხილე საქართველოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ მომზადებული პრესის ყოველკვირეული მიმოხილვა (15 აგვისტოდან 22 აგისტომდე პერიოდში) ადამიანის უფლებების დარღვევასა და აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ივლისი-სექტემბერი, 2015 წელი.

[38] იხილე საქართველოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ მომზადებული პრესის ყოველკვირეული მიმოხილვა (1 ივლისიდან 6 ივლისამდე პერიოდში) ადამიანის უფლებების დარღვევასა და აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ივლისი-სექტემბერი, 2015 წელი.

[39] იხილე საქართველოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ მომზადებული პრესის ყოველკვირეული მიმოხილვა ადამიანის უფლებების დარღვევასა და აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ივლისი-სექტემბერი, 2015 წელი.

37. დადასტურებულია, რომ პერიოდულად ქვეყნდება[40] გაფრთხილებები მკაცრი კონტროლის შემოღების თაობაზე საზღვრის გადაკვეთის რეჟიმთან დაკავშირებით. 27 აგვისტოს, დე - ფაქტო პრეზიდენტმა ხაჯიმბამ მოუწოდა სავაჭრო საქმიანობაზე კონტროლის შემოღებისკენ საოკუპაციო საზღვრის გასწვრივ.[41] დელეგაცია გაფრთხილდა, რომ ზაფხულის განმავლობაში დე - ფაქტო ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად მხარეს გაყიდულ ადგილობრივ პროდუქციაზე საბაჟო გადასახადის შემოღების თაობაზე.[42]

მოსწავლეებზე გავრცელებული შეზღუდვა

38. ხაზი უნა გაესვას ფაქტს, რომ მავთულხლართების შემოღება რუსეთის ფედერაციის მიერ და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვა არღვევს ადამიანის უფლებებს მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების ჩათვლით. ევროპის საბჭო ადასტურებს, რომ „არსებობს შეშფოთება ბავშვების საოკუპაციო ხაზის გადაკვეთის და ამასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის თაობაზე.[43]

39. გალის რაიონის ოკუპირებულ სოფლებში მცხოვრებ ბავშვებს ჭირდებათ საოკუპაციო ხაზის გადაკვეთა იმისთვის, რომ მივიდნენ საქართველოს[44] ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ წალენჯიხის და ზუგდიდის რაიონების სკოლებში. შედარებისთვის, 2014 წელს 103 სკოლის მოსწავლე იყო აღრიცხული გალის რაიონიდან ამ სკოლებში, 2015 წლის ივნისში კი ეს რიცხვი უკვე 45[45] შეადგენდა. ამ ციფრების შემცირების ტენდენცია გრძელდება და გაგრძელდება 2015-2016 აკადემიურ წლებშიც.[46]

40. საოკუპაციო ხელსუფლების მიერ მიღებულია გადაწყვეტილება აიკრძალოს იმ სკოლებში სიარული, რომლებიც განლაგებულნი არიან საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. სკოლის მოსწავლეების მშობლები იძულებულნი არიან წაიყვანონ თავიანთი შვილები ოკუპირებული რეგიონის სკოლებში. მაგალითად, 2015 წლის სექტემბერში, რუსეთის ეფესბეს ოფიცრებმა ნება არ დართეს გალის რაიონის მაცხოვრებელ სამ მოსწავლეს გადაეკვეთათ საოკუპაციო ხაზი იმისთვის, რომ დასწრებოდნენ გაკვეთილებს

---

[40] გაერთიანებული ანგარიში საქართველოში მომხდარი კონფლიქტის თაობაზე, ევროპის საბჭო (2015 წლის აპრილი), SG/Inf (2015) 41, პარაგრაფი 45.

[41] გაერთიანებული ანგარიში საქართველოში მომხდარი კონფლიქტის თაობაზე, ევროპის საბჭო (2015 წლის აპრილი), SG/Inf (2015) 41, პარაგრაფი 45.

[42] გაერთიანებული ანგარიში საქართველოში მომხდარი კონფლიქტის თაობაზე, ევროპის საბჭო (2015 წლის აპრილი), SG/Inf (2015) 41, პარაგრაფი 45.

[43] გაერთიანებული ანგარიში საქართველოში მომხდარ კონფლიქტზე, ევროპის საბჭო (აპრილი 2015-სექტემბერი 2015) SG/Inf (2015) 41, პარაგრაფი 55.

[44] "საქართველოს სახალხო დამცველის საგანგებო მოხსენება - გალის რაიონში განათლების მიღების უფლების შესახებ. 2015-2016 ახალი აკადემიური წლის ახალი ვითარება და პრობლემები." საქართველოს სახალხო დამცველი, ოქტომბერი 2015, გვერდი 10.

[45] "გალის ოკუპირებულ რეგიონში ქართულ ენაზე განათლების მიღების უფლება" კონფერენციის სხდომა , რომელიც გაიმართა 2015 წლის 23 ივნისს.

[46] "საქართველოს სახალხო დამცველის საგანგებო მოხსენება - გალის რაიონში განათლების მიღების უფლების შესახებ. 2015-2016 ახალი აკადემიური წლის ახალი ვითარება და პრობლემები." საქართველოს სახალხო დამცველი, ოქტომბერი 2015, გვერდი 10.

წალენჯიხის რაიონში, რომელსაც აკონტროლებს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება.[47] 14 სექტმბერს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პირველი კლასის მოსწავლეებს გალის რაიონის სოფელ ჭყოუშიდან არ მისცეს ნება გადაეკვეთათ საოკუპაციო ხაზი, რათა დასწრებოდნენ სკოლის გაკვეთილებს.[48]

41. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ გალის ოკუპირებული რეგიონის ქართული ენის მასწავლებლებს ეკრძალებათ საოკუპაციო ხაზის გადაკვეთა და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის გადაკვეთა. 2015 წლის 15 სექტემბერს გალის რაიონის მასწავლებლები და სკოლის დირექტორები გაფრთხილდნენ, რომ საოკუპაციო ხაზის გადაკვეთას შედეგად მოყვება მათი თანამდებობებიდან განთავისუფლება. გალის ოკუპირებული რაიონის სკოლის მასწავლებლები ხშირად აწყდებიან სირთულეებს ადმინისტრაციული ხაზის გადაკვეთისას და მათ ხშირად უშლიან კიდეც ამის გაკეთებას.[49]

V. უფლება საკუთრებაზე

42. საქართველოში არსებული კონფლიქტის პერიოდში დაკარგული სახლების და საკუთრების საკითხი მოუგვარებელი რჩება. წლების მანძილზე, საკუთრებაზე უფლება საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში სისტემატურად და უხეშად ირღვეოდა. ეთნიკური ქართველების ასობით სახლი მიზანმიმართულად დაიწვა და დაინგრა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ.[50]

43. აღწერილი სიტუაცია საკუთრებაზე უფლებებთან მიმართებაში რჩება იგივე, რაც იყო 2015 წლის ივლისიდან სექტემბრის ჩათვლით. უამრავი წყარო ვარაუდობს, რომ გრძელდება საკუთრებაზე უფლების დარღვევა საანგარიშო პერიოდის განმავლობაშიც.[51]

44. დადასტურდა, რომ 2015 წლის ივლისში სოფლების წითელუბანის და ორჭოსანის შემოგარენში დადგმული იმ ბანერების დამონტაჟების კონტექსტში, რომელთაც აქვთ წარწერა „სახელმწიფო საზღვარი“ შეიძლება ითქვას, რომ ამას მოყვება იმ მიწისა და არსებობის წყაროს დაკარგვა, რომელიც აღნიშნული ბოძების მეორე მხარეს დარჩა და ეს არის 150 სოფელზე მეტი[52]

---

[47] “საქართველოს სახალხო დამცველის საგანგებო მოხსენება - გალის რაიონში განათლების მიღების უფლების შესახებ. 2015-2016 ახალი აკადემიური წლის ახალი ვითარება და პრობლემები.“ საქართველოს სახალხო დამცველი, ოქტომბერი 2015, გვერდი 11.

[48] იხილე საქართველოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ მომზადებული პრესის ყოველკვირეული მიმოხილვა (2015 წლის 14 სექტემბრიდან 20 სექტემბრამდე პერიოდში) ადამიანის უფლებების დარღვევასა და აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ივლისი-სექტემბერი, 2015 წელი.

[49] გაერთიანებული აგნარიში საქართველოშ მომხდარი კონფლიქტის თაობაზე, ევროპის საბჭო (2015 წლის აპრილი), SG/Inf (2015) 41, პარაგრაფი 56.

[50] „ ადამიანის უფლებები საქართველოში არსებული კოფლიქტის შემდეგომ ომით დაზარალებულ ტერიტორიაზე, OSCE/ODIHR,2008 წლის 27 ნოემბერი, გვ. 26-28,გვ. 42,გვ. 44-45,გვ.61; „ აგვისტოს ნანგრევები“, საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციის ანგარიში ადამიანის ფუნადემენტური უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონის დარღვევის თაობაზე, 2008 წლის აგვისტოს ომი, თბილისი 2008, გვ. 28; „ადამიანის უფლებები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტით დაზარალებულ რეიონებში. განსაკუთრებული მისია საქართველოში და რუსეთის ფედერაციაში“, თომას ჰამარბერგი, ადამინის უფლებათა ევროპის საბჭოს კომისარი (ვლადიკავკასია, ცხინვალი, გორი, თბილისი და მოსკოვი, 22-29 აგვისტო 2008 წელი), პარაგრაფი 94; „ რუსეთის პასუხისმგებლობა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების დარღვევაზე“ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) გაბცხადება,ადამიანის უფლებათ ეროვნული ინსტიტუტი და ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ 113 სესიაზე განსახილველი ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი (2015 წლის 16 მარტი - 2015 წლის 2 აპრილი) რუსეთის ფედერაცია, გვერდები 4 და 9.

[51] ივლისი-სექტემბერი 2015 წელი.

[52] გაერთიანებული აგნარიში საქართველოშ მომხდარი კონფლიქტის თაობაზე, ევროპის საბჭო (2015 წლის აპრილი), SG/Inf (2015) 41, პარაგრაფი 61.

ზემოთ ნახსენებ სოფლებთან ერთად. აგრეთვე ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ 2015 წელს ახალი ბანერების დამონტაჟება ქარელის რაიონის სოფლების თამარაშენის და წერონისის შემოგარენში ტოვებს რამოდენიმე ადგილობრივი ფერმერის ნაკვეთებს ახალი ნიშნულების მიღმა.[53]

45. საკუთრებაზე უფლების დარღვევის სხვა მაგალითები შემდეგია: 2015 წლის 11 ივლისს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რუსმა სამხედროებმა აუკრძალეს გალის რაიონის 110 ოჯახს გამოიყენონ მათ საკუთრებაში მყოფი მიწა, რომელიც მდინარე ენგურის გარშემო მდებარეობს. ეს აკრძალვა ეხება იმ საკუთრებას, რომელიც მდებარეობს მდინარე ენგურის კონკრეტული მონაკვეთის ერთი კილომეტრის რადიუსში.[54]

46. 2015 წლის 19 სექტემბერს, რუსეთის სამხედროები სამხედრო ჯავშანტექნიკით შევიდნენ გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში. მათ სოფელში დაარბიეს რამოდენიმე სახლი და ოჯახებიდან წაიღეს თხილის მოსავლის ათასობით კილოგრამი. მათ ოჯახებს აგრეთვე ჩამოართვეს ზამთრისთვის მომზადებული სანოვაგე და პირადი ნივთები. [55]

47. 2015 წლის 30 სექტემბერს რუსეთის ეფესბეს თანამშრომლებმა დაარბიეს გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში მცხოვრები ოჯახის სახლი და ჩამოართვეს 800 კილოგრამი თხილი.[56]

48. ხაზი უნდა გაესვას, რომ ე.წ. „ რუსეთ - აფხაზეთის შეთანხმების“ თანახმად, რუსეთის ფედერაციის ეთნიკურად ქართველი მოქალაქეები, რომლებიც საქართველოს აფხაზეთის რეგიონის ლტოლვილები არიან, ვერ განაცხადებენ პრტენეზიას აფხაზეთში არსებულ საკუთრებაზე. მიზეზი შემდეგია: ეს პირები ბოლო 15-20 წლის განმავლობაში[57] არ იხდიდნენ ე.წ. კომუნალურ და საკუთრებაზე არსებულ საბაჟო გადასახადს.

VI. მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება.

49. განათლების მშობლიურ ენაზე მიღების უფლება საყოველთაოდ არის აღიარებული საერთაშორისო კანონის მიხედვით[58]. გალის რაიონში 31 სკოლაა. 2014-2015 სასწავლო წლის

---

[53] იხილე „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება“, დათარიღებულია 2015 წლის 11 აგვისტოთი.

[54] იხილე საქართველოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ მომზადებული პრესის ყოველკვირეული მიმოხილვა (2015 წლის 6 ივლისიდან 14 ივლისამდე პერიოდში) ადამიანის უფლებების დარღვევასა და აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ივლისი-სექტემბერი, 2015 წელი.

[55] იხილე საქართველოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ მომზადებული პრესის ყოველკვირეული მიმოხილვა (2015 წლის 14 სექტემბრიდან 20 სექტემბრამდე 14 ივლისამდე პერიოდში) ადამიანის უფლებების დარღვევასა და აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ივლისი-სექტემბერი, 2015 წელი.

[55] იხილე საქართველოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ მომზადებული პრესის ყოველკვირეული მიმოხილვა ადამიანის უფლებების დარღვევასა და აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ივლისი-სექტემბერი, 2015 წელი.

[56] იხილე საქართველოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ მომზადებული პრესის ყოველკვირეული მიმოხილვა ადამიანის უფლებების დარღვევასა და აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ივლისი-სექტემბერი, 2015 წელი.

[57] ახალი ამბების სააგენტო – “timer.ge”. 9 სექტემბერი 2015.

[58] *ენები და განათლების მიღების უფლების რეალიზაცია,* UNESCO. მაგალითად, ECHR თანახმად განათლების მიღების უფლება გულისხმობს მშობლიურ ენაზე განათლების მიღებას. *ბელგიის ენობრივი პრეცედენტი, 1968 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება,*

ბოლოსთვის ამ 31 სკოლაში იყო 4,459 მოსწავლე და 918 თანამშრომელი. 4,459 მოსწავლიდან,4,351, ანუ 97.57 პროცენტი ეთნიკური ქართველები არიან და 918 თანამშრომლიდან, 91.78 პროცენტი აგრეთვე ეთნიკური ქართველები არიან.[59]

50. 31 სკოლიდან მხოლოდ 11 სკოლას, რომლებიც გალის რაიონის „ქვედა ზონაში“ მდებარეობენ, ქონდათ ქართული სკოლების სტატუსი 2014-2015 სასწავლო წლის დამთავრებამდე, სადაც სწავლება მიმდინარეობდა ქართულ ენაზე.[60] რაც შეეხება გალის რაიონის „ზედა ზონის“ 9 სკოლას, იქ საგნები მხოლოდ რუსულ ენაზე[61] ისწავლება და კვირაში მხოლოდ 2 საათი ეთმობა ქართული ენის როგორც უცხო ენის შესწავლას. რაც შეეხება გალის რაიონის დარჩენილ 11 სკოლას (დღეს ეს 11 სკოლა ითვლება დე ფაქტო ხელისუფლების ტყვარჩელისა და ოჩამჩირის ზონის სკოლებად), ყველა მათგანი გადაკეთებულია რუსულ სკოლებად.[62] 2008-2009 სასწალო წლებში ამ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება აიკრძალა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები სამსახურიდან დაითხოვეს.

51. „ქვედა ზონის“ 11 სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისთვის დათმობილი საათები სასწავლო წლის განმავლობაში თანდათანობით შემცირდა. მაგალითად, ამ 11 სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საათები შემცირდა 10 საათიდან 6 საათამდე 2014-2105 სასწავლო წლის განმავლობაში და გამოთავისუფლებული 4 საათი[63] დაეთმო რუსული ენის სწავლებას. განსაკუთრებით შემაშფოთებელია, რომ 2015-2016 სასწავლო წლის სექტემბრიდან გალის რაიონის ამ 11 სკოლაში რადიკალური ცვლილებები შევიდა გაკვეთილების ცხრილში და ახლა ყველა საგანი რუსულ ენაზე ისწავლება პირველიდან მეოთხე კლასის ჩათვლით. 2014 წლამდე გალის რაიონის „ქვედა ზონის“ 11 ქართულ სკოლაში რუსული ენა ისწავლებოდა მესამე კლასიდან როგორც უცხო ენა, ხოლო 2014-2015 სასწავლო წლიდან რუსული ენა უკვე პირველი კლასიდან ისწავლებოდა, როგორც „მშობლიური ენა.“[64] ეს იყო არსებული ცხრილის რუსულ ენაზე გადაკეთების გარკვეული მოსამზადებელი ზომა, რაც დაიგეგმა 2015-2016 სასწავლო წლისთვის. აღსანიშნავია, რომ ეს არის ის გამოცდილება,

---

პარაგრაფი 3 გვ. .31). *კვიპროსი თურქეთის წინაარმდეგ* სასამართლომ დაადგინა, რომ ბერძენი-კიპრიოტი ბავშვების დაწესებულების გაუქმება ჩრდილოეთ კვიპროსში, სადაც საშუალო სკოლაში სწავლება ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა იყო ბავშვის უფლებათა კონვენციის მეორე მუხლის დარღვევა. 2001 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება, პარაგრაფები 2733-289.

[59] იხილე საქართველოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ მომზადებული პრესის ყოველკვირეული მიმოხილვა (2015 წლის 27 ივლისიდან 2 აგვისტომდე პერიოდში) ადამიანის უფლებების დარღვევასა და აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ივლისი-სექტემბერი, 2015 წელი.

[60] დასაშვების ზღვარი -ქართულ-აფხაზურ კონტექსტში არსებული კონფლიქტის სამომავლო პერსპექტივა: გალის რეგიონის მოსახლეობა, მორიგების რესურსები, 2015 წლის ივლისი, გვ,10. საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის ანგარიში კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, 2015 წლის 5 ივნისი, გვერდი 26.

[61] “საქართველოს სახალხო დამცველის საგანგებო მოხსენება - გალის რაიონში განათლების მიღების უფლების შესახებ. 2015-2016 ახალი აკადემიური წლის ახალი ვითარება და პრობლემები.“ საქართველოს სახალხო დამცველი, ოქტომბერი 2015, გვერდი 5.

[62]“საქართველოს სახალხო დამცველის საგანგებო მოხსენება - გალის რაიონში განათლების მიღების უფლების შესახებ. 2015-2016 ახალი აკადემიური წლის ახალი ვითარება და პრობლემები.“ საქართველოს სახალხო დამცველი, ოქტომბერი 2015, გვერდი 5.

[63] საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიში ადამიანის უფლებების მდგომარეობა და ფუნდამენტური თავისუფლებები საქართველოში, გვერდი 845.

[64] საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიში ადამიანის უფლებების მდგომარეობა და ფუნდამენტური თავისუფლებები საქართველოში, გვერდი 845.

რომელიც გაიარა გალის რაიონის ყველა სკოლამ, სადაც რუსულენოვანმა პირველმა კლასებმა თანდათანობით შეცვალეს ქართულენოვანი პირველი კლასები და ქართული სკოლები ნელ-ნელა რუსულ სკოლებად[65] გადაკეთდნენ.

52. 2015-2016 აკადემიური წლის სექტემბრის დასაწყისში, გალის რაიონის ამ 11 სკოლის ცხრილში ძირეული ცვლილებები შევიდა.კერძოდ, ყველა საგანის სწავლება იწარმოებს რუსულ ენაზე პირველ ოთხ კლასში, ანუ პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე კლასებში.[66] ევროპის საბჭომ აღნიშნა, რომ „... რუსული ენა მიღებული იქნა ინსტრუქციის ენად ქვემო გალის 11-ვე სკოლის პირველ ოთხ კლასში, რაც ძალაში შევა ახალი სასწავლო წლის დასაწყისშივე.“[67]რუსული განრიგი, ანუ ცხრილი ნიშნავს იმას, რომ რუსული სახელმძღვანელოები, რომლებიც სასწავლებლად გამოიყენება,[68] ლიცენზირებულია რუსეთის ფედერაციის განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ და გამოქვეყნებულია რუსეთის ფედერაციაში. ამ კლასებში კვირაში მხოლოდ ერთი საათი ეთმობა ქართული ენის, როგორც უცხო ენის შესწავლას.[69]

53. ზაფხულის სასკოლო არდადეგების დროს, გალის რაიონის ამ 11 სკოლის მასწავლებლებს ჩაუტარდათ ინსტრუქცია, რომ დასწრებოდნენ საგანგებო ტრენინგებს რუსული ცხრილის თაობაზე.[70] აღინიშნა, რომ „ეს ცვლილებები მნიშვნელოვნად ზღუდავს ქართულ ენაზე სწავლებას.[71] უფრო მეტიც, ამ სკოლებში დოკუმენტების წარმოება აღარ იქნება ქართულ ენაზე. [72] ერთ-ერთ სკოლაში, რომელიც მდებარეობს გალის რაიონის სოფელ ოქუმში, სკოლის მოსწავლეებს და მასწავლებლებს ეკრძალებათ ერთმანეთთან ქართულ ენაზე ურთიერთობა[73]. დადასტურებულია, ქართული ენის მასიურად აკრძალვის გეგმა. ამ პოლიტიკის შედეგად , თუ ის 6 წლის განმავლობაში გაგრძელდება გალის რაიონის „ქვედა ზონის“ 11-ივე სკოლაში ყველა კლასში ქართული ენა თანდათანობით შეიცვლება რუსული ენით.[74]

---

[65] საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიში ადამიანის უფლებების მდგომარეობა და ფუნდამენტური თავისუფლებები საქართველოში, გვერდი 845.

[66] “საქართველოს სახალხო დამცველის საგანგებო მოხსენება - გალის რაიონში განათლების მიღების უფლების შესახებ. 2015-2016 ახალი აკადემიური წლის ახალი ვითარება და პრობლემები.“ საქართველოს სახალხო დამცველი, ოქტომბერი 2015, გვერდი 5.

[67] გაერთიანებული ანგარიში საქართველოში მომხდარი კონფლიქტის თაობაზე, ევროპის საბჭო (2015 წლის აპრილი - 2015 წლის სექტემბერი), SG/Inf (2015) 41, პარაგრაფი 52.

[68]“საქართველოს სახალხო დამცველის საგანგებო მოხსენება - გალის რაიონში განათლების მიღების უფლების შესახებ. 2015-2016 ახალი აკადემიური წლის ახალი ვითარება და პრობლემები.“ საქართველოს სახალხო დამცველი, ოქტომბერი 2015, გვერდი 4. იხილე საქართველოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ მომზადებული პრესის ყოველკვირეული მიმოხილვა (2015 წლის 31 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე პერიოდში) ადამიანის უფლებების დარღვევასა და აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ივლისი-სექტემბერი, 2015 წელი.

[69] იხილე საქართველოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ მომზადებული პრესის ყოველკვირეული მიმოხილვა (2015 წლის 31 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე პერიოდში) ადამიანის უფლებების დარღვევასა და აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ივლისი-სექტემბერი, 2015 წელი.

[70] იხილე საქართველოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ მომზადებული პრესის ყოველკვირეული მიმოხილვა (2015 წლის 24 აგვისტოდან 30 აგვისტომდე პერიოდში) ადამიანის უფლებების დარღვევასა და აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ივლისი-სექტემბერი, 2015 წელი.

[71] გაერთიანებული აგნარიში საქართველოში მომხდარი კონფლიქტის თაობაზე, ევროპის საბჭო (2015 წლის აპრილი - 2015 წლის სექტემბერი), SG/Inf (2015) 41, პარაგრაფი 53.

[72] „გალის ოკუპრებულ რაიონში ქართულ ენაზე განათლების მიღების უფლება. 2015 წლის 23 ივნისს ჩაატრებული კონფერენციის სხდომა.

[73] იხილე საქართველოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ მომზადებული პრესის ყოველკვირეული მიმოხილვა (2015 წლის 5 სექტემბრიდან 12 სექტემბრამდე პერიოდში) ადამიანის უფლებების დარღვევასა და აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ივლისი-სექტემბერი, 2015 წელი.

[74]“საქართველოს სახალხო დამცველის საგანგებო მოხსენება - გალის რაიონში განათლების მიღების უფლების შესახებ. 2015-2016 ახალი აკადემიური წლის ახალი ვითარება და პრობლემები.“ საქართველოს სახალხო დამცველი, ოქტომბერი 2015, გვერდი 6.

54. საგანგაშოა ის ფაქტი, რომ ყველა ე.წ მოსამზადებელი კლასები (რაც პირველ კლასში გადაყვანის საფუძველი ხდება) და ყველა არსებული საბავშვო ბაღიც გადასულია რუსულენოვან სწავლებაზე.[75] უნდა აღინიშნოს, რომ ცხრა სკოლის დირექტორი გათავისუფლებული იქნა თანამდებობიდან ე.წ „მოღალატეობრივი“ დამოკიდებულების გამო.

VII. დასკვნები

55. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში აღწერილი სიტუაცია წამებისა და არასათანადო მოპყრობის თვალსაზრისით და საანგარიშო პერიოდში [76]მოწოდებული მაგალითები წარმოადგენენ წამებისა და არასათანადო მოპყრობისაგან თავისუფლების ხელყოფას და არის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულების 7-ე მუხლის დარღვევა, ისევე როგორც ადამიანის უნივერსალური უფლებების 5-ე და ადამიანის უფლებების ევროპის კონვეცნიის 3-ე მუხლების დარღვევას, ისევე როგორც ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის პირობის შეუსრულებლობას.[77]

56. შეიძლება დავასკვნათ, რომ თვითნებურ დაკავებასთან დაკავშირებული საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში აღწერილი სიტუაცია და საანგარიშო პერიოდში[78] მოწოდებული მაგალითები წარმოადგენენ თვითნებურ დაკავებას და ამგვარად სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულების 9-ე, ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციის 3-ე, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის 5-ე მუხლების დარღვევას და ევროპის უსაფრთხოებისა და თამაშრომლობის ორგანიზაციის შესაბამისი დებულებების შეუსრულებლობას. [79]

57. შეგვლიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში გადაადგილების თავისუფლებასთან დაკავშირებით აღწერილი სიტუაცია და საანგარიშო პერიოდში [80]მოწოდებული მაგალითები წარმოადგენს გადაადგილების თავისუფლების 12-ე მუხლის, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ხელშეკრულების 12-ე, ადამიანის უნივერსალურ

---

[75] გაერთიანებული აგნარიში საქართველოში მომხდარი კონფლიქტის თაობაზე, ევროპის საბჭო (2015 წლის აპრილი - 2015 წლის სექტემბერი), SG/Inf (2015) 41, პარაგრაფი 52.

[76] ივლისი-სექტემბერი 2015 წელი.

[77] ვენის შემაჯამებელი დოკუმენტი (1989) კრძალავს წამებას და სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას და სასჯელს. პარაგრაფი 23.4; პარიზის დოკუმენტი (1990) აგრეთვე კრძალავს წამებას და სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას და სასჯელს; ევროპის უსაფრთხოების სტამბულის ქარტია ვალდებულებას იღებს „ აღმოფხვრას წამება და სხვა არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა და სასჯელი ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ტერიტორიაზე, პარაგრაფი 21. .

[78] ივლისი-სექტემბერი 2015 წელი.

[79] ვენის შემაჯამებელი დოკუმენტი (1989 ითვალისწინებს რომ არავინ არ უნდა იქნეს თვითნებურად დაპატიმრებული, დაკავებული ან გასახლებული. პარაგრაფი 23.1; მოსკოვის დოკუმენტის თანახმად (1991) „ არავის არ შეიძლება ჩამოერთვას თავისუფლება გარდა კანონით დადგენილი საფუძვლით და იმავე პროცედურის თანახმად“. პარაგრაფი 23.1 (i).

[80] ივლისი-სექტემბერი 2015 წელი.

უფლებათა 13-ე, ადამიანის უფლებათა ევროპის საბჭოს კონვენციის 4-ე პროტოკოლის 2-ე მუხლების და ეუთოს თავისუფლად გადაადგილების ვალდებულების დარღვევას. [81]

58. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში საკუთრებაზე უფლებასთან მიმართებაში აღწერილი სიტუაცია და საანგარიშო პერიოდში[82] მოწოდებული მაგალითები წარმოადგენს ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციის 17-ე, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის 1 პროტოკოლის 1 მუხლების და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ვალდებულებათა დარღვევას. [83]

59. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში მშობლიურ ენაზე განათლების მიღებასთან დაკავრებით აღწერილი სიტუაცია და საანგარიშო პერიოდში[84] მოწოდებული მაგალითები წარმოადგენს მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების დარღვევას და შესაბამისად ადამიანის უნივერსალურ უფლებათა 26 (იკითხება სისტემურ კავშირში 2-ე მუხლთან), ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის 2 პროტოკოლის 2-ე, ბავშვის უფლებათა კონვენციის 1 პარაგრაფის 2-ე მუხლების და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ვალდებულებების შესაბამისი დებულებების შეუსრულებლობა.[85]

VII საერთაშორისო საზოგადოებისადმი მიმართვა

60. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობას, სახელმწიფოებს, საერთაშორისო შიდა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს განაგრძონ საქართველოს ტერიტორიების რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულად ცნობა.
განაგრძონ რუსეთის ფედერაციის მოწოდება იტვირთოს პასუხისმგებლობა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევის საკითხში.

განაგრძონ რუსეთის ფედერაციის მოწოდება შეაჩეროს საოკუპაციო ხაზზე მავთულხლართების დამონტაჟება და სხვა ხელოვნური წინაღობებისა და ბანერების აღმართვა.

---

[81] მოსკოვის დოკუმენტის 33 პარაგრაფის თანახმად (1991), ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მონაწილე ქვეყნები ვალდებულები არიან მოხსნან ყველა შეზღუდვა სახელმწიფოში მოგზაურობასთან მიმართებაში და მონაწილე ქვეყნების მოქალაქეობასთან მიმართებაში დაცული უნდა იყოს ყველა ადამიანის უფლება თავისუფლად გადაადგილდეს და გახდეს მოქალაქე ქვეყნის ფარგლებში.

[82] ივლისი-სექტემბერი 2015 წელი.

[83] ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის საბჭოს მოვალეობაა დააწესოს ვალდებულება სახელმწიფოებზე, რომ ყველამ ისარგებლოს საკუთრების უფლებით და არავის არა აქვს ამ საკუთრების ჩამორთმევის უფლება გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მოსკოვის დოკუმენტი (1991), პარაგრაფი 24; კოპენჰაგენის დოკუმენტი (1990) , პარაგრაფი 9.6.

[84] ივლისი-სექტემბერი 2015 წელი.

[85] ვენის დოკუმენტის 63 პარაგრაფის თანახმად (1989), ყველას უნდა ქონდეს წვდომა „ განათლების სხვადასხვა ტიპსა და დონეზე განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რწმენისა, პოლიტიკური ან სოციალური წარმომავლობისა, საკუთრებისა, დაბადებისა ან სხვა სტატუსისა.“

მიიღონ დამატებითი ზომები, რათა ჩატარდეს მონიტორინგი და მოხდეს ანგარიშის მიწოდება საქართველოს რეგიონებში ადამიანის უფლებების სფეროში არსებული სიტუაციის თაობაზე;

განსაკუთრებული ხაზგასმით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს:

i)გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის სამსახურს, იმისათვის, რომ ამ უკანასკნელმა მიიღოს დამატებითი ზომები, იმისათვის რომ რეგულარულად განიხილოს და შეაფასოს აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებების სფეროში არსებული სიტუაცია.

ii)გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა საბჭოს საგანგებო საპროცესო მანდატის მფლობელებს მიღონ დამატებითი ზომები, რათა განიხილონ და ანგარიში წარმოადგინონ აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში არსებული ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული სიტუაციის შესახებ.

iii) ევროპის უსაფრთხოებისა და თანაშრომლობის ორგანიზაციას და ავტონომიურ ინსტიტუციებს და კერძოდ დემოკრატიული ინსტიტუციების სამსახურს და ეროვნულ უმცირესობათა ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარის სამსახურს, რათა გამოინახოს გზები საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების სფეროში არსებული სიტუაციის მონიტორინგისთვის. ეს ნაბიჯები შეიძლება მათ შორის მოიცავდეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უფლებების დაცვის განხორციელებაზე კონტროლის განხორციელებას და ანგარიშის მომზადებას ამ რეკომენდაციების დანერგვის სტატუსის თაობაზე, რომელიც შედის ODIHR/HCNM 2008 წლის ანგარიშში „ საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შემდგომ ომით დაზარალებულ ტერიტორიებზე არსებული ადამიანის უფლებების მდგომარეობა.“

განაგრძოს რუსეთის ფედერაციის მოწოდება ნება დართოს ა) გამოყენებული იქნეს ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმები საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში; ბ) ოფიციალურად და ლეგალურად შეუშვას საერთაშორისო ორგანიზაციების სათანადო მისიები ჰუმანიტარული ორგანიზაციების ჩათვლით საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში.

განაგრძოს და გააძლიეროს ადამიანის უფლებების დარღვევის დაგმობა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში, ისეთის როგორიცაა თავისუფლად გადაადგილების უფლება; წამებისგან და შეურაცხყოფისგან თავისუფლება; უფლება საკუთრებაზე და მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება.